ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 87

ქ. თბილისი

04 სექტემბერი, 2014 წელი

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) ქ. თბილისის №106 საჯარო სკოლა (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის **თეწგიზ გულორდავას** სახით და მეორეს მხრივ, აუდიტური კომპანია „კომპაუდი", წარმოდგენილი დირექტორის მინდობილი პირი **ნუგზარ ხიჯაკაძის** სახით (შემდგომში – მიმწოდებელი), სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას, შემდეგზე:

1. **ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები**

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. აქედან, ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი- შემსყიდველს.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. **ხელშეკრულების საგანი**

2.1. სსიპ ქ.თბილისის №106 საჯარო სკოლის მიერ, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვებისათვის სათანადო დოკუმენტაციის მომზადებისა და ტექნიკურ–ორგანიზაციულ საკითხებზე მომსახურების გაწევა.

3. **ხელშეკრულების ღირებულება**

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 118 (ასთვრამეტი) ლარს.

3.2. მომსახურების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. **ანგარიშწორების ფორმა და ვადები**

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს ხელშეკრულებით გაწეული მომსახურებაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშწორება განხორციელდება ფაქტობრივად განხორციელებული მომსახურების შესაბამისად, მომსახურების გაწევიდან 10 კალენდარულ დღეში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება ჩაბარების აქტს;

5.2.მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმომწერის უფლება ეძლევათ წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელისმომწერ პირებს.

6. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

6.1 მიმწოდებელი მომსახურების გაწევას დაიწყებს ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და დაასრულებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

7.1.1 ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლისმიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

7.3.1 მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3.2. გამოიყენოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1.გაწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით.

7.4.2.კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

7.4.3., არ გაამჟღავნოს შემსყიდველის პერსონალური ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

7.4.4. იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ზიანი.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს სკოლის დირექტორის მოადგილე ნაზი სეთურიძე.

8.1.ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს.

8.1.ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

10.6. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. ჩინაალმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.2. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე.

14. ფორს-მაჟორი

14.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებულების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი;

14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის 'ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა დადაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით,კარანტინით და სხვა;

14.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაშიხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ,მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოკიდებული იქნებიან ფორს- მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. გამოყენებული სამართალი

15.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. სხვა პირობები

16.1. არც ერთ მხრეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით ხარჯებითა და რისკით.

16.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

16.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

17. რეკვიზიტები

შემსყიდველი

სსიპ–ქ. თბილისის №106

საჯარო სკოლა

ქ.თბილისი,ბ. ხმელნიცკის ქუჩა,

საავიაციო ქარხნის მე-3 დასახლება.

საბანკო რეკვიზიტები:

ს.ს. „ლიბერთი ბანკი"

ბ.კ. LBRTGE22

ა/ა №GE92LB0121143857793000.

ს/კ №208145318

დირექტორი:

თ. გულორდავა

მიმწოდებელი

აუდიტური კომპანია „კომპაუდი"

ქ.თბილისი,დ. ბაქრაძის №6.

საბანკო რეკვიზიტები:

ს.ს. „საქართველოს ბანკი"

ბ.კ.BAGAGE 22

ა/ა№GE62BG0000000092631800

ს/კ №202385169

დირექტორის მინდობილობით პირი:

ნ. ხოჯაკაძე